ოლღა ცისკარიშვილი-სოსელია

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ალტერბრიჯის ასოცირებული პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი, ალტეს მიწვეული ლექტორი.

ტელ: 555400662

ელ-ფოსტა: oliko71@gmail.com

მედია, რეპროდუქცია, ჯანმრთელობა, ცნობიერება, საზოგადოება

მედიის გავლენა საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, რომ უდიდესია, ამას უკვე აღარავინ დაობს. მედიამ კარგა ხანია დაკარგა საგანმანათლებლო ფუნქცია. არ ფიქრობს საზოგადოებას მიაწოდოს ისეთი ელემენტარული ინფორმაცია ისეთ თემებზე, რასაც ქვია რეპროდუქციული ჯანმრთელობა. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობას იღებდა 140 რესპონდენტი. ჩატარებული კვლევიდანც ჩანს, რომ საზოგადოებას სურს უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, რადგან უმრავლეს შემთხვევაში არ იციან, ან არ აქვთ ინფორმაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემებზე და ძალიან ბევრ ადამიანს უქმნის პრობლემას არაინფორმირებულობა.

The influence of the media on the society is the biggest and it is not a controversial topic any longer. Media lost its educational function. It does not think to provide society even the tiny information, like reproductive health. We did the research and 140 respondent took part in it. From the conducted research, it can be seen that the public wants to get more information about reproductive health, because in most cases they do not know or have no information about reproductive health topics, and lack of information is a problem for many people.

რეპროდუქციულ ჯანმრთელობა, მედია და საზოგადოება

მედიის გავლენა საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, რომ უდიდესია, ამას უკვე აღარავინ დაობს. თუმცა საქართველოში მედია უფრო ხშირად დაკავებულია პოლიტიკური პროცესების გაშუქებით, ასევე სკანდალური და რეიტინგული მედიაპროდუქტის შექმნით და ხშირად ავიწყდება, რომ სწორედ მას შეუძლია ადამიანების, საზოგადოების ცნობიერებაზე

სასიკეთოდ გავლენის მოხდენა. მედიამ კარგა ხანია დაკარგა საგანმანათლებლო ფუნქცია და ფაქტობრივად არასდროს ფიქრობს ადამიანთა კეთილდღეობაზე, ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთალობაზე. მათ შორის არ ფიქრობს საზოგადოებას მიაწოდოს ისეთი ელემენტარული ინფორმაცია ისეთ თემებზე, რასაც ქვია რეპროდუქციული ჯანმრთელობა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მენტალურად, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ადამიანთა უმრავლესობამ ხშირად არ იცის და არც აქვს გააზრებული, რამდენად მნიშვნელოვანია რეპროდუქციულ და სექსუალურ თემებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება, კვალიფიციური სპეციალისტებისგან რჩევისა და კონსულტაციების მოსმენა. მედია კი, არა თუ ხელს უწყობს, არც კი ინტერესდება საზოგადოების ცნობიერების ზრდით, რითაც ხელს შეუწყობდა მათი ცხოვრების გაუმჯობესებას. ქართულ რეალობაში ძალიან იშვიათად ინტერესდებიან ამ თემების გაშუქებით და საზოგადოებაც შესაბამისად არ არის გათვითცნობიერებული ამ საკითხებში.

ჩვენს მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგად, სადაც მონაწილეობას იღებდა 140 რესპონდენტი, კვლევა ჩატარდა შემთხვევითობის პრინციპით, გამოკითხულთა უმრავლესობამ 80.7 პროცენტმა დადებითად უპასუხა კითხვაზე: უნდა იყოს თუ არა ჩართული მედია (ტელევიზია, პრესა, რადიო, სოცმედია) ზემოთ ნახსენები თემების გაშუქებაში (რეპროდუქციული ჯანმრთელობა, პაპილომავირუსი, კიბო, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და ა.შ.)

ტერმინი „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები“ (SRHR) პირველად დაახლოებით 20 წლის წინ კაიროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე შემუშავდა (ICPD),[1] მოგვიანებით, 1995 წ.-ს, პეკინში გამართულ ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე (FWCW)[2]. ჯანმ-ოს განმარტებით, კაიროს პროგრამა რეპროდუქციულ ჯანმრთელობას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა რეპროდუქციულ სისტემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. რეპროდუქციული ჯანმრთელობა ნიშნავს იმ მდგომარეობას, როდესაც ადამიანებს შეუძლიათ ჰქონდეთ სასიამოვნო და უსაფრთხო სექსუალური ცხოვრება, აქვთ გამრავლების უნარი და თავისუფალი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უნარი იყოლიონ თუ არა შვილი.[3] დღეს, ამ საკითხი სხვანაირად დგას, უკვე საჭიროა მოხდეს ორიენტირება რეპროდუქციიდან

[1] https://www.unfpa.org/sites/default/files/eventpdf/icpd_eng_2.pdf [2]
[2] https://www.unfpa.org/sites/default/files/eventpdf/icpd_eng_2.pdf
[3] http://www.sxpolitics.org/frontlines/book/pdf/cap itulo9_united_nations.pdf

სექსუალობაზე, სექსუალურ უფლებებსა და მათ გამოხატვაზე. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა[4] მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სექსუალობა, სიცოცხლის ციკლი; ანატომია; რეპროდუქციული პროცესები და სხვ. მათ შორის აივ ინფექციისა და სგგი-ს პრევენციას, მკურნალობას, დედიდან ბავშვზე ინფექციების გადაცემის პრევენციას. ინექციური ნარკოტიკების მოხმარებას და სგგი/აივ და სხვ.[5]

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა წარმოადგენს სრულ ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ სიჯანსაღეს რეპროდუქციულ სისტემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, თავისუფალი არჩევანი გააკეთოს სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და ამაში მნიშვნელოვანი წვლილი მედიას უნდა ჰქონდეს.

„რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და უდიდეს როლს თამაშობს ჰარმონიული ურთიერთებებსა და ცხოვრების ხარისხის ფორმირებაში. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს მიუწვდებოდეთ ხელი რეპროდუქციული ჯანმრთელობის მაღალი დონის სერვისებსა და სარწმუნო ინფორმაციაზე რათა შეძლონ თავიდან აიცილონ სხვადასხვა დაავადებები, ძალადობა, დაგეგმონ ოჯახი, წარმართონ ჯანსაღად ორსულობა, აიცილონ აბორტი და მასთან დაკავშირებული გართულებები პასუხისმგებლობით მიუდგნენ მშობლობას, ააგონ ჯანსაღი პატივისცემასა და ზრუნვაზე დაფუძნებული ურთიერთობები, იყვნენ ბედნიერნი.

მედიას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს მოსახლეობის სწორ ინფორმირებაში რეპროდუქციული ჯანმრთლობისა და უფლებების კუთხით. სამწუხაროდ, ხშირად ჟურნალსიტებიც არ არიან კარგად გათვითცნობიერებული ამ მიმართულებით, რაც საბოლოოდ საკითხის არასწორად გაშუქების საფუძველს ქმნის. აუცილებელია ჟურნალისტებთან საგანმანათლებლო მუშაობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე. მედიას შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადეობაში პასუხისმგებლიანი ქცევების ჩამოყალიბებას, დაეხმაროს ადამიანებს ჯანმრთელობისათვის სასარგებლო არჩევანის გაკეთებაში, აღმოფხვრას რეპროდუქციულ სფეროსთან დაკავშირებული სტიგმა და არასწორი ცოდნა და ხელი შეუწყოს ჰარმონიული ურთიერთობების შენებას," - გვეუბნება ქეთევან ჭელიძე, ექიმი, რეპროდუქტიული ჯანმრთელობის პროგრამის მენეჯერი საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრ „თანადგომაში".

---

[4] https://www.ippf.org/sites/default/files/ippf_frame work_for_comprehensive_sexuality_education.pdf
[5] https://www.ippf.org/sites/default/files/2016- 05/ippf_peereducationguide_abortion_final.pdf

გაერო-ს მოსახლეობის ფონდი, პარტნიორებთან ერთად, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებებზე მუშაობს, ერთ-ერთი მათგანია ოჯახის დაგეგმვის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კვლევებით დადგინდა, რომ როცა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებები დაკმაყოფილებული არ არის, ადამიანებს საკუთარ სხეულთან და მომავალთან დაკავშირებული არსებითი მნიშვნელობის არჩევანის გაკეთების უფლება ჩამორთმეული აქვთ, ეს კი მათი ოჯახების სიჯანსაღესა და მომავალ თაობებზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს.[6]

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების (SRHR) კანონმდებლობა საქართველოში[7] - საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ ყველა მოქალაქეს უფლებას აძლევს წვდომა ჰქონდეთ სამედიცინო მომსახურებასთან, მათ შორის რეპროდუცქიული და სექსუალური ჯანმრთელობის მომსახურებასთან. კანონი უფლებას იძლევა ასევე აბორტის - პირველი 12 კვირის განმავლობაში მაშინ, როდესაც 16 წელს მიუღწეველ პირებს, სამედიცინო მოსახურების მიღებისთვის მშობლის, ან მეურვის თანხმობა ესაჭიროებათ. 14-18 წლამდე მოზარდებს სამართლებრივი უფლება აქვთ მშობლის, ან კანონიერი მეურვის თანხმობის გარეშე მიიღონ კონსულტაცია სექსუალური გზით გადამდები ინფექციის მკურნალობის, კონტრაცეპციის არაქირურგიული მეთოდებისა და აბორტის შესახებ. 14-18 წლამდე მოზარდებს აქვთ უფლება მშობლის, ან მეურვის თანხმობის გარეშე, კონფიდენციალურად ჩაიტარონ აივ ტესტიც.

თუმცა სხვა ჯანდაცვის სერვისებთან ერთად, ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი არ არის ოჯახის დაგეგმვისთვის საჭირო მეთოდებზე ინფორმაცია. ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს არ აქვთნ საკმარისი ცოდნა-უნარები, რათა დაინტერესებულ

---

6 https://georgia.unfpa.org/ka/topics/%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

7 სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები (SRHR) სიტუაციური ანალიზი საქართველოში, გაეროს მოსახლეობის ფონდი 2018 (internal document)

პირებსკონფედენციალური კონსულტაცია გაუწიონ. სამწუხაროდ, არ არსებობს სოციალური მხარდაჭერის სისტემები/პროგრამებიც.[8]

საქართველოში სექსუალური და რეპროდუცქიული ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა ბევრად უფრო შეზღუდულია, უფლებები კი დაუცველი.

ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობამ, 69.9 პროცენტმა დადებითად უპასუხა კითხვას: იცით თუ არა რა საკითხებს მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობა? თუმცა 27, 2 პროცენტმა უპასუხა: მეტ-ნაკლებად და რესპონდენტთა 2,9 პროცენტმა არ იცის რას მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობა (კვლევის ცდომილება +/- 5 პროცენტი).

ჩვენს კვლევას ფეხდაფეხ რომ გავყვეთ ჩვენს კითხვებზე რესპონდენტა უმრავლესობა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია - გამოკითხულთა 88, 6 პროცენტი; მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე.

გამოკითხულთა ასაკი კი ასე გამოიყურება: კვლევაში 15-18 წლამდე 0,9 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა; 18-25 წლამდე - 24,1 პროცენტმა, 26-35 წლამდე 12.1 პროცენტმა, 35-45 წლამდე 27,6 პროცენტმა; 45-დან ზევით 35.3. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თემა იმდენად სენსიტიურია, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა ძირითადად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებმა მიიღეს და ისინი არიან გამოცდილნი და თავად შეხებიან რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე პრობლემებს. შესაბამისად, ახალგარდებმა ან თავი შეიკავეს კითხვარში მონაწილეობაზე ანდა თავი ჩათვალეს არაკომპეტენტურებად.

რაც შეეხება შემდეგ კითხვას: საიდან გსმენიათ ტერმინი რეპროდუქციული ჯანმრთელობა რესპონდენტთა პასუხები ასე გადანაწილდა: სოციალური ქსელიდან - 36,8 პროცენტი; ოჯახიდან - 11 პროცენტმა; მეგობრებისგან - 5.1; კონსულტაციის სერვისებიდან - 27.2 პროცენტი; სასწავლო დაწესებულებიდან - 19.9 პროცენტი.

შემდეგ კითხვას: ფიქრობთ თუ არა, რომ რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები უნდა შევიდეს თუ არა სასკოლო პროგრამებში გამოკითხულ რესპონდენტთა 60.3 პროცენტმა დადებითად უპასუხა; უარყოფითად უპასუხა 6 პროცენტმა, საერთოდ არ არისსავალდებულო სკოლის მოსწავლემ ამის შესახებ რაიმე გაიგოს ასეუპასუხა 2,2 პროცენტმა. 12.5 პროცენტმა კი უპასუხა - აუცილებლად.

---

[8] http://womenfundgeorgia.org/Files/WFG-SRHR-Handbook-GEO.pdf

კითხვაზე: ფიქრობთ თუ არა, რომ რეპროდუქციულ ჯანმრთელობის საკითხები უნდა შევიდეს უმაღლეს სასწავლებლების პროგრამებში რესპონდენტთა 3,7 პროცენტმა უარყოფითად უპასუხა; დადებითი პასუხი გასცა 58,8 პროცენტმა, ხოლო 36,8 პროცენტი ფიქრობს, რომ სტუდენტმა უკვე უნდა იცოდეს რა არის რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

გამოკითხულთა 11,8 პროცენტს არ სმენია რა არის პაპილომავირუსი, 88.2 პროცენტმა კი იცის ამ ვირუსის შესახებ, ეს ციფრები კიდევ ერთხელ მეტყველებენ იმაზე, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ზრდასრული მდედრობითი სქესის წარმომადგენლები არიან.

გამოკითხულთა 3,9 პროცენტი ფიქრობს, რომ პაპილომა ვირუსი არაფერს იწვევს, 3,9 პროცენტი ფიქრობს, რომ სიცხეს იწვევს, 3,1 პროცენტი ფიქრობს, რომ პაპილომავირუსი უბრალოდ გაციებაა, 89,2 პროცენტმა უპასუხა რომ კიბოს იწვევს.

რაც შეეხება კითხვას: ახდენს თუ არა კიბო ადამიანის სექსუალობაზე გავლენას 68.4 პროცენტმა დადებითად უპასუხა, 24,3 პროცენტმა უპასუხა უარყოფითად, ხოლო 7,4 პროცენტმა უარყოფიი პასუხი გასცა.

კითხვაზე: ამ ბოლო დროს გაგიგიათ თუ არა ხელოვნურად შეწყვეტილი ორსულობის (აბორტის) შესახებ გამოკითხულთა უმრავლესობამ 54 პროცენტმა დადებითად უპასუხა. ახელოვნურად შეწყვეტილი ორსულობის შესახებ გამოკითხულთა 60.4 პროცენტმა სხვა წყაროებიდან გაიგეს, 12,9 პროცენტმა მეგობრებისგან, 16,8 ახლობლებისგან; 6,9 მეგობრის ახლობლისგან, 3 პროცენტმა ნათესავისგან, ერთმა პროცენტმა ოჯახის წევრისგან.

ხელოვნური ორსულობის შეწყვეტის მიზეზად კი გამოკითხულთა 20,4 პროცენტმა ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა, 17,5 პროცენტმა ოჯახის წევრთა უარყოფოთი რეაქცია. 2,9 პროცენტმა ნაყოფის არასასურველი სქესი, 1,9 პროცენტმა ორსულობის შიში, 57,3 პასუხი არ დააკონკრეტა.

რესპონდენტთა 83,8 პროცენტი თვლის რომ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა ქალის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.7,4 პროცენტი კი ასე არ თვლის, 5,9 პროცენტმა არ იცის საფრთხეს უქმნის თუ არა.

რესპონდენტთა 64,4 პროცენტი თვლის, რომ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მშობელს. 8,9 პროცენტი თვლის, რომ საზოგადოებას; 6,7 ფიქრობს, რომ ექიმს, 6,7 აზრით კი დედას.

კითხვაზე - უნდა ჰქონდეს თუ არა 18 წლამდე მოზარდებს ინფორმაცია სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, მათ შორის აივ ინფექციის შესახებ? რეპონდენტთა უმრავლესობა 73

პროცენტი თვლის რომ უნდა ჰქონდეთ, 26,3 პროცენტი ფიქრობს რომ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ.

კითხვაზე - უნდა ჰქონდეს თუ არა მოზარდს ინფორმაცია უსაფრთხო სქესობრივი ურთიერთობების შესახებ (დამცავი საშუალებების შესახებ), ყველა რესპონდენტი თანახმაა, მათი პასუხები ასე ნაწილდება: დიახ - 75,7 პროცენტი; რა თქმა უნდა - 24, 3 პროცენტი.

კითხვაზე უნდა ჰქონდეს თუ არა მიზარდებს ინფორმაცია ორსულობის ტესტების შესახებ? პასუხები ნაწილდება ასე: დიახ - უპასუხა გამოკითხულთა 97 პროცენტმა. არა - 1,5 პროცენტმა და არ ვიცი 1,5 პროცენტმა.

უნდა ჰქონდეს თუ არა მოზარდს ინფორმაცია და წვდომა რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკონსულტაციო სერვისებზე? 93, 3 პროცენტმა უპასუხა - დიახ, 6 პროცენტმა უპასუხა - არ ვიცი.

კვლევის პასუხებიდან გამომდინარე ნათელია, რომ საზოგადოებაში კი მწირია რეპროდუქციულ ჯამრთელობის თემებზე საზოგადოებაში ინფორმაცია, საზოგადოებას, მათ შორის მოზარდებსაც აუცილებლად სჭირდებათ ამ თემებზე ინფორმირებულობა.

და ბოლოს, კითხვაზე: უნდა იყოს თუ არა ჩართული მედია (ტელევიზია, პრესა, რადიო, სოცმედია) ზემოთ ნახსენები თემების გაშუქებაში (რეპროდუქციული ჯანმრთელობა, პაპილომავირუსი, კიბო, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და ა.შ.) 80,9 პროცენტმა უპასუხა დადებითად, 13,2 პროცენტი ფიქრობს, რომ კარგი იქნებოდა ამ თემების გაშუქება. 5,9 პროცენტი ფიქრობს, რომ მეტ-ნაკლებად. არც ერთი პასუხი არ ყოფილა უარყოფითი, რაც იმას მიანიშნებს, რომ მედიამ ადგილი უნდა დაუთმოს ამ თემების გაშუქებას.

ეს ის საკითხებია, „ზუსტად იმგვარად საჭირბოროტო. დედის გარდაცვალების შემდეგ 18 წლიდან აქტუალურად რომ ვუფიქრდები და განვიხილავ. ვიძენ ცოდნას ვუხსნი გარშემომყოფებს," - ამბობს რუსუდან ჯიშკარიანი, ერთ-ერთი რესპონდენტი.

„ეს ის თემაა, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს გათვითცნობიერებული ჩვენი საზოგადოება," - ამბობს კიდევე რთი რესპონდენტი ირინა ქიმერიძე.

კიდევ ერთი რესპონდენტი ირინა ბარბაქაძე კი გვეუბნება: „თემა მნიშვნელოვანი, უნდა გაიგოს საზოგადოების ნაწილმა და უფრო მეტად მომავალმა თაობამ, რომ განათლება მარტო "წიგნის" წაკითხვა არ არის და საჭიროა ამ მნიშვნელოვანი საკითხების სწორი ცოდნა, რაც ჯანმრთელობას უკავშირდება და იყვნენ დაცულნი სირთულეებისაგან..."

2019 წელს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხებზე ეროვნული კვლევა, რომელიც სახალხო დამცველის აპარატმა ჩაატარა (რეპროდუქციული და

სექსუალური ჯანმრთელობის და უფლებების საკითხებზე ეროვნული კვლევა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით მომზადდა) ნათქვამია, რომ მოზარდებს არ აქვთ კომპლექსური განათლება, არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას მათ სხეულზე და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, რაც საფრთხის შემცველი ქცევების ალბათობას ზრდის.[9]

ქართულ საზოგადოებაში, დღემდე სტიგმატიზირებულია რეპროდუქციულ ჯანმრთელობის საკითხებზე ლაპარაკი. მოზარდები ინტერნეტიდან ან ქუჩიდან იღებენ სასურველ ინფორმაციას. დაღდასმულია ამ თემების მშობლებთან განხილვაც - შიშის, მორიდების, სირცხვილის და სხვა მიზეზების გამო. ამ ყველაფრის გამო, ისინი უამრავ შეცდომებს უშვებენ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდანც ჩანს, რომ საზოგადოებას სურს უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, რადგან უმრავლეს შემთხვევაში არ იციან, ან არ აქვთ ინფორმაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემებზე და ძალიან ბევრ ადამიანს უქმნის პრობლემას არაინფორმირებულობა. ამიტომ საჭიროა მედიამ ძალისხმევა არ დაიშუროს, რომ საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია და ხშირად იყოს ჩართული რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემების გაშუქებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.unfpa.org/sites/default/files/eventpdf/icpd_eng_2.pdf [2]
2. https://www.unfpa.org/sites/default/files/eventpdf/icpd_eng_2.pdf
3. http://www.sxpolitics.org/frontlines/book/pdf/cap itulo9_united_nations.pdf
4. https://www.ippf.org/sites/default/files/ippf_frame work_for_comprehensive_sexuality_education.pdf
5. https://www.ippf.org/sites/default/files/2016- 05/ippf_peereducationguide_abortion_final.pdf
6. https://georgia.unfpa.org/ka/topics/%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90
7. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები (SRHR) სიტუაციური ანალიზი საქართველოში, გაეროს მოსახლეობის ფონდი 2018 (internal document)
8. http://womenfundgeorgia.org/Files/WFG-SRHR-Handbook-GEO.pdf

[9] https://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/seksualuri-da-reproduktsiuli-janmrtelobis-da-uflebebis-sakitkhebze-erovnuli-kvleva

9. https://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/seksualuri-da-reproduktsiuli-janmrtelobis-da-uflebebis-sakitkhebze-erovnuli-kvleva